ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

ქ. ფოთი 18 ნოემბერი, 2016 წელი.

მუხლი 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

1.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ერთის მხრივ, ქ. ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (მისამართი: ქ.ფოთი, გორგასლის ქ. №37), წარმოდგენილი მისი უფროსის გოჩა ქორქიას სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,LNS" (მისამართი: ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი №16), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა ესებუას სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. მიმწოდებელი ორგანიზაცია - (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.3. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო საქონლის (CPV კოდი 22841000, 30199500) შემდგომში საქონელი შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 27,00 (ოცდაშვიდი) ლარს. მათ შორის:

№	დასახელება	გან-ბა	რა-ობა	ღირებულ ება	ფასი (ლარი)	CPV
1	სურათის ალბომი	ცალი	1	25,00	25,00	22841000
2	ქაღალდის ჩანთა	ცალი	1	2,00	2,00	30199500
	ჯამი				27,00	

მუხლი 4. ანგარიშწორების პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარისწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის მიწოდების დამადასტირებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5 . მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. შემსყიდველს, მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს ხარისხიანი და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

5.1.2. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 6. მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და სათანადო სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

მუხლი 7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქალაქი ფოთი, რუსთაველის რკალი №16.

7.2. მომსახურების გაწევა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

9.1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.1.3.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.1.3.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.1.3.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 18 ნოემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	შ.პ.ს. ,,LNS“
მის: ქ. ფოთი, გორგასალის ქ. №37 საიდენტიფიკაციო კოდი 215129698 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 სახზინო კოდი: 32 01 02 43	მის: ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი №16 საიდენტიფიკაციო კოდი: 415081958 ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGGE22 ა/ა: GE56TB7596136020100001
გ. ქორქია ----------	მ. ესებუა ----------
გოჩა ქორქია რესურსცენტრის უფროსი	მარინა ესებუა დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

მიღება-ჩაბარების აქტი №1

ქ. ფოთი 24 ნოემბერი, 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ქ. ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გოჩა ქორქიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,LNS" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ტყებუჩავას სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ თანახმად 2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული №16 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და შემსყიდველს მოთხოვნის საფუძვზე მიაწოდა შემდეგი დასახელების საქონელი:

№	დასახელება	გან-ბა	რა-ობა	ღირებულება	ფასი (ლარი)	CPV
1	სურათის ალბომი	ცალი	1	25,00	25,00	22841000
2	ქაღალდის ჩანთა	ცალი	1	2,00	2,00	30199500
	ჯამი				27,00	

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 18 ნოემბეს გაფორმებული №17 ხელშეკრულების დანართს, შესაბამისად მის განუყოფელ ნაწილს და უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს

შემსყიდველი:

ქ. ფოთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი

უფროსი

გ. ქორქია

გოჩა ქორქია

მიმწოდებელი:

შპს ,, LNS"

დირექტორი

მარინა ესებუა